ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში კვლევებისა და სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობის დაფინანსების წესი

დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორის 2024 წლის 26 მარტის N01-24/102 ბრძანებით

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (შემდგომ უნივერსიტეტი), როგორც უნივერსიტეტის ტიპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საკუთარი მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების მიზნით, აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით ხელს უწყობს კვლევითი და სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობისა და შესაბამისი აქტივობების განხორციელებას და მიზნად ისახავს საკვლევ პრობლემასთან/შემოქმედებით პრაქტიკასთან დაკავშირებით ახალი ცოდნის, ხედვების, მიდგომებისა და პერსპექტივების ჩამოყალიბებას.

1.2 წინამდებარე წესის მიზანია განსაზღვროს შიდა საუნივერსიტეტო კვლევითი კონკურსის გამოცხადების, საპროექტო განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის წარმოდგენის, მისი განხილვისა და დაფინანსების მოპოვების ერთიანი სამართლიანი და გამჭვირვალე სისტემა. ასევე წინამდებარე წესი ადგენს უნივერსიტეტში მოქმედი სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობისა და შესაბამისი აქტივობების დაფინანსებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

1.3 უნივერსიტეტის წესდების, დებულებისა და წინამდებარე წესის საფუძველზე კვლევითი და სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობისა და შესაბამისი აქტივობების განხორციელების მხარდაჭერას ახორციელებს კვლევების დეპარტამენტი.

1.4. კვლევითი და სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობისა და შესაბამისი აქტივობების მხარდაჭერის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების წყაროს წარმოადგენს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოყოფილი თანხა.

მუხლი 2. უნივერსიტეტის მიერ მხარდაჭერილი სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობა და სხვა შესაბამისი აქტივობები

2.1 უნივერსიტეტი სხვადასხვა სამეცნიერო დარგის განვითარებასა და ხელშეწყობას ახორციელებს კვლევითი და სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობისა და შესაბამისი აქტივობების დაფინანსებით.

2.2 სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობის დაფინანსების მიზანია დარგის/ქვედარგის და/ან დარგთაშორისი სამეცნიერო სფეროს განვითარებაში შესაბამისი წვლილის შეტანა და ახალი ცოდნის გენერირება, რომელიც ეფუძნება, სამეცნიერო ეთიკისა და კეთილსინდისიერების სტანდარტებს და ორიენტირებულია საკვლევი პრობლემის ინოვაციური მეთოდოლოგიით შესწავლასა და გადაწყვეტაზე.

2.3 უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით უნივერსიტეტის კვლევების დეპარტამენტი ახორციელებს:

2.3.1 კვლევითი საქმიანობის შედეგად მომზადებული ნამუშევრების პოპულარიზაციას სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისა და გამოქვეყნების წახალისებას;

2.3.2 ელექტრონული სახელმძღვანელოების მხარდაჭერის შიდა საგრანტო დაფინანსების პროგრამას;

2.3.3 პოლიტიკის დოკუმენტების მომზადების საგრანტო დაფინანსების პროგრამას;

2.3.4 სადოქტორო საფეხურის სტუდენტების სადისერტაციო კვლევების მხარდაჭერის შიდა საგრანტო დაფინანსების პროგრამას;

2.3.5 აფილირებული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებსა და სხვა სამეცნიერო-შემოქმედებით აქტივობებში მონაწილეობის მხარდაჭერას;

2.3.6 უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების იმიტირებულ სასამართლო პროცესებში მონაწილეობის მხარდაჭერას.

2.4 უნივერსიტეტის აფილირებულ აკადემიურ პერსონალს ან/და სტუდენტს კვლევების დეპარტამენტის ბიუჯეტის გათვალისწინებით შესაძლებელია სრულად ან ნაწილობრივ დაუფინანსდეს სხვა სამეცნიერო-შემოქმედებით პროექტში/კონფერენციაში და სხვა სახის სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობაც.

მუხლი 3. შიდა საუნივერსიტეტო კვლევების დაფინანსების კონკურსის გამოცხადება და მასში მონაწილეობის პირობები

3.1 უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით კვლევის დეპარტამენტი წელიწადში სულ მცირე ორჯერ აცხადებს შიდა საუნივერსიტეტო კვლევების დაფინანსების კონკურსს.

3.2 შიდა საუნივერსიტეტო კვლევების დაფინანსების კონკურსის საჯაროობის მიზნით, კვლევების დეპარტამენტი ადამიანური რესურსების მათვის მენეჯერთან და საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურთან კოორდინაციით უზრუნველყოფს კონკურსის შესახებ ინფორმაციის განთავსებას უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

3.3 კვლევების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ შიდა საუნივერსიტეტო კვლევების დაფინანსების კონკურსში, საპროექტო განცხადებების მიღების ვადა არ უნდა იყოს 10 სამუშაო დღეზე ნაკლები, რომლის ათვლაც უნდა დაიწყოს კონკურსის შესახებ ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნების დღიდან.

3.4 შიდა საუნივერსიტეტო კვლევების დაფინანსების კონკურსში საპროექტო განაცხადის წარდგენის უფლება აქვს უნივერსიტეტის იმ აკადემიურ პერსონალს, რომელსაც აფილირების ხელშეკრულება გაფორმებული აქვს უნივერსიტეტთან. საპროექტო განაცხადით წარმოდგენილი კვლევითი პროექტის განხორციელებაში შესაძლებელია ჩართული იყო უნივერსიტეტთან არააფილირებული პირი/პირები, თუმცა მათი საერთო რაოდენობა პროექტის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის 1/3-ს არ უნდა აღემატებოდეს.

3.5 შიდა საუნივერსიტეტო კვლევის დაფინანსების მოპოვების მიზნით წარმოდგენილი საპროექტო განაცხადი სავალდებულო სახით უნდა ითვალისწინებდეს კვლევით პროექტის განხორციელების პროცესში სტუდენტთა მონაწილეობას.

3.6 საპროექტო განაცხადით გათვალისწინებული კვლევითი პროექტის განხორციელებაში ჩართულ სტუდენტთა რაოდენობა არ უნდა იყოს 2-ზე ნაკლები.

3.7 საპროექტო განაცხადით გათვალისწინებული კვლევითი პროექტის განხორციელების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს.

3.8 შიდა საუნივერსიტეტო კვლევების დაფინანსების კონკურსში საპროექტო განაცხადის წარდგენის უფლება ასევე აქვს უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს/სტუდენტთა ჯგუფს. ასეთ შემთხვევაში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადი უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე მუხლის 3.5-3.7 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მუხლი 4. შიდა საუნივერსიტეტო კვლევების დაფინანსების კონკურსში მონაწილეობის მიზნით წარსადგენი დოკუმენტაცია

4.1 შიდა საუნივერსიტეტო კვლევების დაფინანსების კონკურსში მონაწილეობით დაინტერესებულმა უფლებამოსილმა პირმა, კონკურსით დადგენილ ვადების დაცვით უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

4.1.1 საპროექტო განაცხადი, დანართი N1-ის შესაბამისად;

4.1.2 პროექტის განხორციელების გეგმა - განსახორციელებელი კვლევის მოკლე აღწერა, რომელშიც წარმოდგენილი იქნება: საკვლევი თემა, საჭირო ტექნიკურ-მატერიალური რესურსი; განსახორციელებელი აქტივობები შესაბამისი პერიოდის მითითებით;

4.1.3 განსახორციელებელ კვლევით პროექტში ჩართულ პირთა CV-ები;

4.1.4 განსახორციელებელი კვლევითი პროექტის ბიუჯეტი.

4.2 უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია შიდა საუნივერსიტეტო კვლევების დაფინანსების კონკურსის გამოცხადების დროს დაადგინოს ამ მუხლის 4.1.1-4.1.4 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მიღმა სხვა დამატებითი დოკუმენტაციის სავალდებულო წესით წარმოდგენა.

4.3 შიდა საუნივერსიტეტო კვლევების დაფინანსების კონკურსში საპროექტო განაცხადით წარმოდგენილი კვლევითი პროექტის ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 10 000 ლარს. კონკურსში მონაწილეობით დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წარმოადგინოს ისეთი კვლევითი პროექტი, რომლის ბიუჯეტიც აღემატება 10000 ლარს. ასეთ შემთხვევაში, დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს დასაბუთება, რომ კვლევითი პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული დანარჩენი თანხა ანაზღაურდება სხვა წყაროდან.

4.4 კვლევების დეპარტამენტის კვლევებისა და განვითარების კოორდინატორი ამოწმებს წარმოდგენილი საპროექტო განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობას ამ წესით და სამეცნიერო საბჭოს მიერ დადგენილ დამატებით პირობებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4.5 იმ შემთხვევაში თუ საპროექტო განაცხადით არა არის წარმოდგენილი ამ წესით ან/და სამეცნიერო საბჭოს მიერ დამატებით დადგენილი დოკუმენტაცია, კვლევების

დეპარტამენტის ხელმძღვანელი კონკურსში მონაწილე პირს განუსაზღვრავს დამატებით ვადას წარმოდგენილ საპროექტო განაცხადში დადგენილი ხარვეზის გამოსწორების მიზნით. ხარვეზის გამოსწორებისთვის განსაზღვრული ვადა არ შეიძლება იყოს 10 კალენდარულ დღეზე მეტი.

4.6 იმ შემთხვევაში, თუ კონკურსში მონაწილე პირის მიერ მისთვის ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილ ვადაში არ მოხდება ხარვეზის გამოსწორება, საპროექტო განაცხადი არ ექვემდებარება მის შემდგომ განხილვას.

მუხლი 5. შიდა საუნივერსიტეტო კვლევების დაფინანსების კონკურსში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების განხილვა

5.1 შიდა საუნივერსიტეტო კვლევების დაფინანსების კონკურსში წარმოდგენილ საპროექტო განცხადებებს, საპროექტო განცხადებების წარმოდგენის ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს და მისი დაფინანსების/ნაწილობრივ დაფინანსების ან არ დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კვლევების დეპარტამენტში არსებული სამეცნიერო საბჭო (შემდგომში სამეცნიერო საბჭო).

5.2 შიდა საუნივერსიტეტო კვლევების დაფინანსების კონკურსში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადის შინაარსიდან გამომდინარე სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში შესაძლებელია ერთჯერადად მოწვეული იქნეს შესაბამისი დარგის აკადემიურ/მოწვეული პერსონალის წარმომადგენელი/წარმომადგენლები ან/და დარგის სხვა ექსპერტი/ექსპერტები.

5.3 სამეცნიერო საბჭო საქმიანობას უძღვება უნივერსიტეტის კვლევების დეპარტამენტის თავმჯდომარე, რომელიც ამავდროულად არის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი. სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სამეცნიერო საბჭოს სხდომა შესაძლებელია ჩატარდეს პირისპირ ან ელექტრონულ ფორმატში.

5.4 სამეცნიერო საბჭო შიდა საუნივერსიტეტო კვლევების დაფინანსების კონკურსში წარმოდგენილ საპროექტო განცხადებას განიხილავს დანართში N2 წარმოდგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

5.5 სამეცნიერო საბჭო შიდა საუნივერსიტეტო კვლევების დაფინანსების კონკურსში წარმოდგენილი საპროექტო განცხადების განხილვისა და შიდა საუნივერსიტეტო კვლევების დაფინანსებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის გათვალისწინებით იღებს შემდეგი გადაწყვეტილებებიდან ერთ-ერთს:

5.5.1 საპროექტო განაცხადის სრულად დაფინანსების შესახებ;

5.5.2 საპროექტო განაცხადის ნაწილობრივ დაფინანსების შესახებ;

5.5.3 საპროექტო განაცხადის დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ.

5.6 კვლევების დეპარტამენტის კვლევებისა და განვითარების კოორდინატორი უზრუნველყოფს დაინტერესებული პირისთვის/პირებისთვის სამეცნიერო საბჭოს მიერ კონკურსთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილების გაცნობას. დაინტერესებულ პირისთვის/პირებისთვის გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს მისი მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

5.7 სამეცნიერო საბჭოს მიერ ამ მუხლის 5.5.1 ან 5.5.2 პუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში, უნივერსიტეტსა და საპროექტო განაცხადის წარმომდგენს შორის ფორმდება შიდა საუნივერსიტეტო კვლევითი პროექტის დაფინანსების შესახებ ხელშეკრულება.

მუხლი 6. სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა შესაბამისი აქტივობების დაფინანსების მიზნით საპროექტო განაცხადის წარმოდგენა

6.1 უნივერსიტეტის აფილირებულ აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა შესაბამისი აქტივობების დაფინანსების მიზნით საპროექტო განაცხადით მიმართოს უნივერსიტეტის კვლევების დეპარტამენტს.

6.2 სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა შესაბამისი აქტივობების დაფინანსების მიზნით საპროექტო განაცხადით მოთხოვნილი თანხა შესაძლებელია ანაზღაურდეს იყოს შემდეგი პირობის დაცვით:

6.2.1 სახელმძღვანელოს თარგმანი საავტორო უფლების მოპოვების შემთხვევაში - თანადაფინანსება არაუმეტეს 15 000 ლარი;

6.2.2 ორიგინალური სახელმძღვანელოს (ელექტრონული) მომზადება - არაუმეტეს 8000 ლარი;

6.2.3 სამეცნიერო პროექტში მონაწილეობის თანადაფინანსება - არაუმეტეს 3000 ლარი;

6.2.4 სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა - არაუმეტეს 2500 ლარი;

6.2.5 პოლიტიკის დოკუმენტების მომზადება - არაუმეტეს 1500 ლარი;

6.2.6 სადოქტორო საფეხურის სტუდენტების სადისერტაციო კვლევების მხარდაჭერა - არაუმეტეს 4000 ლარი (არაუმეტეს ოთხი დოქტორანტის მხარდაჭერა წლის განმავლობაში);

6.2.7 სხვა აქტივობები, რომელთა მხარდაჭერა არ უნდა აღემატებოდეს -1500 ლარს.

6.3 დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წარმოადგინოს ისეთი საპროექტო განაცხადი, რომლის განხორციელებისთვის აუცილებელი თანხა აღემატება წინამდებარე მუხლის 6.2.1-6.2.7 პუნქტებით გათვალისწინებულ ზღვრებს. ასეთ შემთხვევაში, დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს დასაბუთება, რომ საპროექტო განაცხადით გათვალისწინებული დანარჩენი თანხა ანაზღაურდება სხვა წყაროდან.

6.4 სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა შესაბამისი აქტივობების დაფინანსების მიზნით საპროექტო განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს დანართი N3 -ის შესაბამისად.

6.5 სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა შესაბამისი აქტივობების დაფინანსების მიზნით წარმოდგენილ საპროექტო განაცხადს განიხილავს სამეცნიერო საბჭო დანართი N4-ით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად.

6.6 სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

6.7 სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა შესაბამისი აქტივობების დაფინანსების მიზნით წარმოდგენილ საპროექტო განაცხადთან დაკავშირებით სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს წინამდებარე წესის მე-5 მუხლის 5.5.1-5.5.3 პუნქტებით გათვალისწინებული ერთ-ერთი გადაწყვეტილება.

6.8 კვლევების დეპარტამენტის კვლევებისა და განვითარების კოორდინატორი უზრუნველყოფს დაინტერესებული პირისთვის სამეცნიერო საბჭოს მიერ სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა შესაბამისი აქტივობების დაფინანსებასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილების გაცნობას. დაინტერესებულ პირს გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს მისი მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

6.9 სამეცნიერო საბჭოს მიერ სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა შესაბამისი აქტივობების დაფინანსებასთან დაკავშირებით მე-5 მუხლის 5.5.1 ან 5.5.2 პუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში, უნივერსიტეტსა და საპროექტო განაცხადის წარმომდგენს შორის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება ან რექტორის ბრძანების საფუძველზე დაინტერესებულ პირს გამოეყოფა შესაბამისი ფინანსური რესურსი.

მუხლი 7. შიდა საუნივერსიტეტო კვლევების დაფინანსების კონკურსის შედეგად ან სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა შესაბამისი აქტივობების დაფინანსების მიზნით საპროექტო განაცხადთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება

7.1 შიდა საუნივერსიტეტო კვლევების დაფინანსების კონკურსში მონაწილე პირს ან სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა შესაბამისი აქტივობების დაფინანსების მიზნით საპროექტო განაცხადის წარმომდგენ პირს, რომელიც არ ეთანხმება მის მიერ წარდგენილ საპროექტო განაცხადთან დაკავშირებით სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებას, უფლება აქვს სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილების გაცნობიდან 5 სამუშაო დღის ვადაში არგუმენტირებული წერილობითი განცხადებით მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს და მოითხოვოს სამეცნიერო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადახედვა.

7.2 რექტორი წერილობითი განცხადების მიღებიდან, 10 სამუშაო დღის ვადაში, კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელთან და რექტორატთან კოორდინაციით შეისწავლის წარმოდგენილ განცხადებას და იღებს გადაწყვეტილებას მისი დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

7.3 იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი განცხადება მოკლებულია დასაბუთებას, რექტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მას და განუსაზღვროს დამატებითი ვადა (არაუმეტეს 2 სამუშაო დღისა) წერილობით დაასაბუთოს, თუ რატომ არ ეთანხმება იგი სადისერტაციო საბჭოს მიერ მიღებულ

გადაწყვეტილებას. დადგენილ ვადაში დაინტერესებული პირის მიერ დასაბუთებული განცხადების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, რექტორი უფლებამოსილია, უარი თქვას წარმოდგენილი წერილობითი განცხადების დაკმაყოფილებაზე.

7.4 იმ შემთხვევაში, თუ რექტორის მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება, წარმოდგენილი განცხადების დაკმაყოფილების შესახებ, მისი ბრძანების საფუძველზე იქმნება სპეციალური კომისია არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით. სპეციალური კომისია კომპლექტდება უნივერსიტეტის შესაბამისი კომპეტენციის მქონე აკადემიური ან/და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებისგან.

7.5 სპეციალური კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს ის პირი, რომელსაც სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული გასაჩივრებული საპროექტო განაცხადის განხილვის პროცესში.

7.6 სპეციალური კომისიის საქმიანობას ხელმძღვანელობს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული თავმჯდომარე. სპეციალური კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სპეციალური კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობის სპეციალური კომისიის თავმჯდომარე.

7.7 სპეციალური კომისია წინამდებარე წესის კრიტერიუმების გათვალისწინებით ხელახლა შეისწავლის საპროექტო განაცხადს და წინამდებარე წესის მე-5 მუხლის 5.5.1-5.5.3 პუნქტების შესაბამისად იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას.

მუხლი 8. უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული კვლევებისა და სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა შესაბამისი აქტივობების მონიტორინგი და მიღებული შედეგების გამოქვეყნება

8.1 კვლევების დეპარტამენტი უფლებამოსილია განახორციელოს უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული კვლევებისა და სამეცნიერო-შემოქმედებითი აქტივობების მონიტორინგი მისი განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე, დაფინანსებული პროექტის ავტორს განუსაზღვროს ვადა და მოსთხოვოს შუალედური ან/და საბოლოო წერილობითი ანგარიშის წარმოდგენა მიმდინარე/დასრულებულ პროექტთან დაკავშირებით.

8.2. უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული პროექტის ავტორი ვალდებულია კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელს მიაწოდოს წერილობითი ანგარიში განხორციელებულ პროექტთან დაკავშირებით, მისი დასრულების ან/და მიმდინარეობის პროცესში.

8.3. უნივერსიტეტი უფლებამოსილია მის მიერ დაფინანსებული პროექტის შედეგად მომზადებული კვლევის შედეგები, პუბლიკაცია და სხვა სახის ინფორმაცია განათავსოს საკუთარ ვებ-გვერდზე ან/და გამოაქვეყნოს ადგილობრივ ან საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში. ასევე, მიღებული შედეგები წარადგინოს ადგილობრივ ან/და საერთაშორისო კონფერენციაზე.

დანართი N1

საპროექტო განაცხადი

შიდა საუნივერსიტეტო კვლევების საგრანტო დაფინანსება

საპროექტო განაცხადის ფორმა[1]

ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტის სახელწოდება ქართულად	
პროექტის სახელწოდება ინგლისურად	
კვლევების დეპარტამენტიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი)	
თანადაფინანსება[2] (ლარი) (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი)	
წარმდგენი სკოლა/სკოლები	
პროექტის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია) *თითოეული მონაწილის შესახებ დეტალური ბიოგრაფიული მონაცემები (CV) წარმოდგენილი იქნება პროექტის დანართში # 1.3*	
პროექტის მონაწილეები (სახელები და გვარები, აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია) *თითოეული მონაწილის შესახებ დეტალური ბიოგრაფიული მონაცემები (CV) წარმოდგენილი იქნება პროექტის დანართში # 1.3*	
პროექტის მონაწილე სტუდენტები (საფეხური, რაოდენობა)	
განხორციელების ვადები (დასაწყისი - დასასრული)	

აბსტრაქტი

(სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400 სიტყვა.)

საკვანძო სიტყვები

(5 სიტყვა, მაგალითად, მიგრაცია, ეკოლოგია, სოციალური რეკლამა)

1. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის აღწერა

კვლევითი თემის/საკითხის აქტუალობა, კვლევის სიახლე, პრობლემის ფორმულირება (კვლევითი თემის/საკითხის და არსებული ცოდნის მიმოხილვა, კვლევის სიახლის დასაბუთება, კვლევითი პროექტის პრობლემის ფორმულირება. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 800 სიტყვა)

კვლევის მიზნები და ამოცანები (ნათლად ჩამოყალიბებული, თანმიმდევრული და არგუმენტირებული კვლევის მიზნები და ამოცანები. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400 სიტყვა)

კვლევის მეთოდოლოგია (კვლევის ეტაპებისა და დიზაინის აღწერა - მიდგომა/თანმიმდევრულობა/თავისებურება; კვლევის მეთოდოლოგიის დასაბუთება და შესაბამისობა პროექტის მიზნებთან; მეთოდებთან დაკავშირებული შეზღუდვები და უპირატესობები. კვლევის განხორციელების ეტაპები და აქტივობები უნდა შეესაბამებოდეს

[1] საპროექტო განაცხადი შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ინგლისურ ენაზეც.
[2] თანადაფინანსების შემთხვევაში, გთხოვთ საპროექტო განაცხადს თან დაურთოთ შესაბამისი აღწერილობა

პროექტის განხორციელების გეგმას, რომელიც წარმოადგენს საპროექტო წინადადების მნიშვნელოვან ნაწილს. სიტყვების რეკომენდებული მოცულობა 800 სიტყვა.)

კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება და კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა (დაასაბუთეთ, რა გამოწვევების გადაჭრაზეა ორიენტირებული კვლევითი პროექტი, კვლევის შედეგების მნიშვნელობა ქვეყნის, რეგიონის ან მსოფლიოსათვის და პოტენციური გავლენა დარგსა და ფართო საზოგადოებაზე;

მიღწეული შედეგების გავრცელების გეგმა და გზები (*კვლევის პუბლიკაცია ადგილობრივ ან საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში/ მონოგრაფიის სახით, კვლევის წარდგენა ადგილობრივ ან საერთაშორისო კონფერენციაზე/კვლევის შედეგების საჯარო განხილვა/დებატები*). სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400 სიტყვა.) სავალდებულოა მიუთითოთ, პროექტით გათვალისწინებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით შესრულებული სამეცნიერო ნაშრომის როგორი ტიპის ჟურნალში/კრებულში/საკონფერენციო მასალებში გამოქვეყნებას აპირებთ.

პროექტის განხორციელების სტრატეგია და გეგმა (თვე) (პროექტის მიზნებისა და ამოცანების მიღწევის მიზნით, გთხოვთ აქ მოკლედ აღწეროთ, ხოლო დანართში # 1.1 - პროექტის განხორციელების გეგმის სახით დეტალურად გაწეროთ სამოქმედო გეგმა და განხორციელების განრიგი (თვეების მიხედვით).

2. კვლევითი პროექტის გუნდი

პროექტში ჩართულ პირთა სამეცნიერო პროდუქტიულობა და მისი შესაბამისობის დასაბუთება პროექტის მიზნებთან (სტატიები, მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში) (სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400 სიტყვა.)

პროექტში ჩართულ სტუდენტთა პროფესიული და სამეცნიერო განვითარების შესაძლებლობების აღწერა და შესაბამისობის დასაბუთება პროექტის მიზნებთან (სტატიები, მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში)

შენიშვნა: გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ პროექტის განხორციელების გეგმა (დანართი #1.1), პროექტის ბიუჯეტი (დანართი 1.2), ისევე როგორც პროექტში ჩართულ პირთა ბიოგრაფიული მონაცემები (CV) (დანართი #1.3) წარმოადგენს პროექტის მნიშვნელოვან ნაწილს და იგზავნება განაცხადის ფორმასთან ერთად ერთიანი PDF დოკუმენტის სახით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე - Research@gipa.ge **და** **nana.macharashvili@gipa.ge, n.mindiashvili@gipa.ge**

- დანართი # 1.1- პროექტის განხორციელების გეგმა
- დანართი # 1.2 - პროექტის ბიუჯეტის ფორმა
- დანართი # 1.3 - ბიოგრაფიული მონაცემები - მოიცავს პროექტში ჩართული თითოეული მონაწილის შესახებ დეტალურ ბიოგრაფიულ მონაცემებს (CV)

დანართი # 1.1- პროექტის განხორციელების გეგმა[3]

დანართი # 1.2 - პროექტის ბიუჯეტის ფორმა[6]

ხარჯვის კატეგორია	ერთეულის ტიპი	ერთეულის ფასი	ერთეულის რაოდენობა	ჯამური ღირებულება
ანაზღაურება [7]				
აკადემიური პერსონალი				
ადმინისტრაციული პერსონალი				
დამხმარე პერსონალი [8]				
კვლევის განხორციელების დანახარჯები				
ფოკუს-ჯგუფი, ინტერვიუ, რაოდენობრივი კვლევა და სხვა[9]				
მივლინება				
მგზავრობის ხარჯი				
მივლინების დღიური ნორმა				
საცხოვრებელი ხარჯი				
საქონლისა და მომსახურების შესყიდვა				
ინვენტარის/ტექნიკის და საკანცელარიო ნივთების შეძენა				
სტატისტიკური და სხვა სახის ინფორმაციის/ ლიტერატურის შესყიდვა				
პროექტის შედეგების გავრცელება				
თარგმანი				
რედაქტირება				
საჯარო განხილვის/დებატების ორგანიზება				
სტატიის სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნების ხარჯები (საჭიროების შემთხვევაში)				
კვლევით გათვალისწინებული სხვა აქტივობები				
სულ				

დანართი # 1.3 - ბიოგრაფიული მონაცემები - მოიცავს პროექტში ჩართული თითოეული მონაწილის შესახებ დეტალურ ბიოგრაფიულ მონაცემებს (CV)

[6] *აღიშნული ფორმა წარმოადგენს მაგალითს და გამოიყენება კვლევითი პროექტის აქტივობებიდან გამომდინარე. შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ ან წაშალეთ ველები.*

[7] *პროექტის მონაწილე აკადემიური, ადმინისტრაციული და სხვა პერსონალის ჯამური ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ბიუჯეტის 40%-ს.*

[8] *დამხმარე პერსონალის სახით შესაძლებელია განიხილული იყოს სტუდენტი/ები, რომელთა მიერ გაწეული შრომა ანაზღაურებადი შესაძლებელია იყოს ან სახელფასო ანაზღაურების ან კვლევის მეთოდების ხარჯების ნაწილში. მნიშვნელოვანია, რომ არ ხდებოდეს ხარჯების განმეორება.*

[9] *სასურველია ხარჯების ჩვენება გამოყენებული მეთოდების მიხედვით ცალ-ცალკე .*

დანართი N2

პროექტის შეფასების კრიტერიუმები შიდა საუნივერსიტეტო კვლევების დაფინანსების კონკურსისთვის

წარდგენილი პროექტის სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება	15%
კვლევითი საკითხის აქტუალობა/სიახლე/პრობლემურობა	15%
კვლევითი პროექტის მეთოდოლოგიური გამართულობა	20%
უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო) სტუდენტების ჩართულობა პროექტის განხორციელების პროცესში	30%
პროექტის ბიუჯეტის შესაბამისობა კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან / პროექტის ხარჯ-ეფექტურობა	20%
სულ	100%

დანართი N3

საპროექტო განაცხადი

სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა შესაბამისი აქტივობების დასაფინანსებლად

საპროექტო განაცხადის ფორმა[10]

ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტის სახელწოდება ქართულად	
პროექტის სახელწოდება ინგლისურად	
კვლევების დეპარტამენტიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი) შესაბამისი მტკიცებულებებით დანართი N1-ის 1.2-ის შესაბამისად	
თანადაფინანსება[11] (ლარი) (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი)	
წარმდგენი სკოლა/სკოლები	
პროექტის ხელმძღვანელი[12] (სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია) *თითოეული მონაწილის შესახებ დეტალური ბიოგრაფიული მონაცემები (CV) წარმოდგენილი იქნება პროექტის დანართში დანართი N1-ის 1.3-ის შესაბამისად*	
პროექტის მონაწილეები (სახელები და გვარები, აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია) *თითოეული მონაწილის შესახებ დეტალური ბიოგრაფიული მონაცემები (CV) წარმოდგენილი იქნება პროექტის დანართში დანართი N1-ის 1.3-ის შესაბამისად*	
პროექტის მონაწილე სტუდენტები (საფეხური, რაოდენობა)	
განხორციელების ვადები (დასაწყისი - დასასრული)	

1. **პროექტის მიზანი და მხარდაჭერის აუცილებლობის დასაბუთება**

2. **მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო/სასწავლო ღირებულება და მიღწეული შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა**

[10] საპროექტო განაცხადი შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ინგლისურ ენაზეც.

[11] თანადაფინანსების შემთხვევაში, გთხოვთ საპროექტო განაცხადს თან დაურთოთ შესაბამისი აღწერილობა

[12] პროექტის წარმოდგენა შესაძლებელია ინდივიდუალურ რეჟიმშიც

3. მიღწეული შედეგების გავრცელების სტრატეგია

4. განხორციელების გეგმა (დანართი N1-ის 1.3-ის შესაბამისად)

დანართი N4

შეფასების კრიტერიუმები სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა შესაბამისი აქტივობების დასაფინანსებლად

წარდგენილი პროექტის სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება	20%
შერჩეული თემატიკის აქტუალობა და საჭიროება	20%
პროექტის განხორციელების გეგმის გამართულობა	20%
უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო) სტუდენტების ჩართულობა პროექტის განხორციელების პროცესში[13]	20%
პროექტის ბიუჯეტის შესაბამისობა კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან / პროექტის ხარჯ-ეფექტურობა	20%
სულ	100%

[13] აღნიშნული კრიტერიუმით ფასდება წინამდებარე წესის მე-6 მუხლის 6.2.1, 6.2.3 და 6.2.5 პუნქტების შესაბამისად წარმოდგენილი სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა შესაბამისი აქტივობების საპროექტო განაცხადები, ამავე მუხლის 6.2.2, 6.2.4 და 6.2.6 პუნქტებით გათვალისწინებული საპროექტო განაცხადების შემთხვევაში აღნიშნული კრიტერიუმისთვის განსაზღვრული შეფასების ხვედრითი წილი თანაბრად ნაწილდება დანარჩენ ოთხ კრიტერიუმზე. ამავე მუხლის 6.2.7 პუნქტით გათვალისწინებულ საპროექტო განცხადების შინაარსიდან გამომდინარე სამეცნიერო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული კრიტერიუმით შეფასების ან მისი ხვედრითი წილის დანარჩენ ოთხ კრიტერიუმზე გადანაწილების შესახებ.